

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ # 05-03/52-2023

ქ. თბილისი

2023 წელი

შემსყიდველი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კ. კოპალიანის სახით

მისამართი: ქ. თბილისი, კოსტავას 77

საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა; ბანკის კოდი: TRESGE22; ს.კ. 211349192
ა/ა 708977289

მიმწოდებელი: შპს დისტანციური ზონდირებისა და გეოინფორმაციული სისტემების საკონსულტაციო ცენტრი გეოგრაფიკი

დირექტორი: გიორგი გოცირიძე

საბანკო რეკვიზიტები: თბილისი ბანკი ბანკის კოდი: TBCBGE22
ა.ა. GE55TB0600000017467328 ს.კ. 204920309

ერთის მხრივ - შემსყიდველი, და მეორეს მხრივ - მიმწოდებელი, ადასტურებენ, რომ მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს პროგრამული უზრუნველყოფა ArcGIS Academic Use 50-User License (CPV48190000 - პროგრამული უზრუნველყოფის საგანმანათლებლო პაკეტი)

ლიცენზია	ლიცენზიის რაოდენობა
ArcGIS Online GIS Professional Advanced user type licenses and user type extension licenses	50
ArcGIS Enterprise Viewer User types licenses	განისაზღვრება მომხმარებლის მიერ
ArcGIS Enterprise GIS Professional Advanced user type licenses and user type extension licenses	50
ArcGIS Online Organization Account	1
ArcGIS Online Service Credits	25,000
Apps	50
Premium Apps	50
ArcGIS Desktop	50
ArcGIS Desktop and ArcGIS Pro Extensions	50
ArcGIS Enterprise Advanced	1
ArcGIS GIS Server Extensions	1
Esri CityEngine	50

1.2. ArcGIS Academic Use 50 User License საგანმანათლებლო პაკეტი ერთწლიანია და მისი მოქმედების ვადა შექმნიდან 1 წლის განმავლობაში.

1.3. შესყიდვის განხორციელების საშუალება - გამარტივებული შესყიდვა (სახელმწიფო შესყიდვის შესახებ საქართველოს კანონის 10¹ მუხლი, 3 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი).

1.4. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში და ფორმით.

2. ხელშეკრულების ფასი

2.1. ხელშეკრულების ფასი შეადგენს: 2636 (ორი ათას ექვსას ოცდათექვსმეტი) ლარი.

2.2. ხელშეკრულების ფასი შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯებსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადებს. პროგრამული უზრუნველყოფის ფასში შედის განახლების ღირებულება ლიცენზიების შექმნიდან 12 (თორმეტი) თვის განმავლობაში, თუ ამ ხნის მანძილზე გამოვა აღნიშნული პროგრამული უზრუნველყოფის ახალი ვერსია.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლსა და ზედამხედველობაზე უფლებამოსილია შემსყიდველი მხარე. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს განახორციელებს და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერას უზრუნველყოფს შემსყიდველის მხრიდან - სტუ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის კომპიუტერული ქსელების მართვისა და ინფორმაციული უსაფრთხოების განყოფილების უფროსი ზაზა ცირამუა.

4. საქონლის მოწოდების ვადა

4.1. საქონლის მოწოდების ვადა - ხელშეკრულების გაფორმებიდან 21 კალენდარული დღე.

5. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და პირობები

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში საქონლის მოწოდების შემდეგ, მხარეთა შორის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

6. უფლებების გადაცემა

6.1. მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა

7.1. ფორსმაჟორული გარემოებების გარდა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

8. ფორს-მაჟორი

8.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

8.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

8.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისა და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

9. დავების გადაწყვეტა

9.1. მხარეთა შორის სადაო საკითხი წყდება მოლაპარაკების გზით. 30 დღის განმავლობაში შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხი განიხილება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2023 წლის 30 დეკემბრამდე

11. სხვა პირობები

11.1. ხელშეკრულება გაფორმებულია ელექტრონულად, „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

11.2. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

შემსყიდველის მხრიდან
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

მიმწოდებლის მხრიდან
შპს დისტანციური ზონდირებისა და
გეოინფორმაციული სისტემების
საკონსულტაციო ცენტრი
გეოგრაფიკი

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
კარლო კოპალიანი

დირექტორი
გიორგი გოცირიძე



ხელწერილი
ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი

2023წ.


ხელმოწერით ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ დაკავშირებული საქმიანობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები შპს დისტანციური ზონდირებისა და გეოინფორმაციული სისტემების საკონსულტაციო ცენტრი გეოგრაფიკთან.

სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი



კარლო კობალიანი

სტუ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების
დეპარტამენტის კომპიუტერული ქსელების მართვისა
და ინფორმაციული უსაფრთხოების განყოფილების უფროსი



ზაზა ცირამუა